წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 2 გიორგობისთვე 1916 წ. № 244

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება უთვალავი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ტრიკოტაჟი, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

საუკეთესო სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.
„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.
სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—30) დიმიტრი უხ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე ჩაი
სადილები ყავა
ვახშმები ხაჭაპური პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.
პატივისცემით ხიდ. ს. გიგიბერია.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ახალი კლუბის
მამასახლისთა საბჭო
ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ რადგან კვირას, 30 ამა ღვინობისთვეს, დანიშნულია არხეოლოგ-ისტორიკოსის თევდორე დავითის ძე ჟორდანიას გვამის დაკრძალვა, ამისა გამო ამ დღისთვის დანიშნული ახალ კლუბის წევრთა
საგანგებო კრება გადაიდო
ექვს გიორგობისთვისათვის, დღის 12 საათზე. კრება ჩაითვლება კანონიერათ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევანი. (3—295—1)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

სამზადისი

როცა დიდი მსოფლიო ომი დაიწყო და ბელგიის ქვანახშირიან მიდამოებში იმპერატორ ვილჰელმის ლაშქარი საფრანგეთის რესპუბლიკის ლაშქარს პირველად შეხვდა, აღმოჩნდა, რომ ფრანგებს ბევრად ნაკლები თოფი და ზარბაზანი ჰქონიათ, ვიდრე მათ მოწინაამდეგეთ. რადგან ამოწყვეტილი მეხვილის წინაშე ნახევრად შიშველი მკერდის გაშვერა ცოტა არ იყოს უხერხული და სახიფათოა, ფრანგების ჯარი იძულებული გახდა ბელგია და ჩრდილო საფრანგეთი მიეტოვებინა და უკან დაეხია პარიზისაკენ. მაგრამ უდიდესი ხიფათის წინაშე ერთხელ კიდევ იჩინეს თავი მაღალ ნიჭიერი ლათინური ტომის სამხედრო ღირსებებმა: მარნის ხეობაში და პარიზის სანახებებში ჟოფრისა, კასტელნოსა და გალიენის სტრატეგიულმა და ტაქტიკურმა ხერხმა სძლია ბავარიელი ბატონიშვილის, გენერალ მოლტკესა და გენერალ კლუკის სამხედრო ნიჭს და ლტოლვილ მტრის ლაშქარს შამპანსა, არტუასა და ფლანდრიამდე დაახევინა. ეს უკან დახევა მტრის კატასტროფით დამთავრდებოდა, ფრანგის ჯარს რომ შესძლებოდა მისი ფეხდაფეხ დევნა და შევიწროება. მაგრამ, სამწუხაროდ, სამხედრო მასალის ნაკლებობის გამო ფრანგებმა სავსებით ვერ გამოიყენეს დროებით მიღწეული სტრატეგიული და ტაქტიკური უპირატესობანი. მტერმა ჩრდილოეთ საფრანგეთშივე მოასწრო მიწაში ჩაძრომა და გამაგრება. ფრანგ-ინგლისელთა ჯარმა მას მიჰბაძა ძალაუნებურად და დაიწყო თხუნელათა უმაგალითო ბრძოლა, რომელიც უკვე ორი წელიწადია რაც გრძელდება.

ამ ორი წლის განმავლობაში ფრანგ-ინგლისელთა წინსვლა გოჯებით იზომება, მტკავლებითა და ალაბებით. ხშირად არავითარ რუკაზე არ შეიძლება მისი აღნიშვნა. რომელღაც მოცლილმა მათემატიკოსმა გამოიანგარიშა, რომ თუ ოთხთა შეთანხმების ლაშქარმა მომავალშიაც ამ ნაბიჯით იარა, ჩრდილოეთ-საფრანგეთისა და ბელგიის ტერიტორია გერმანელების ნახევრად ველურ ურდოებისაგან ასოცი წლის შემდეგ გაიწმინდება. მაშინ ჩვენ ამ ქვეყნად აღარ ვიქნებით: არც ჩვენი შვილები იქნებიან, არც ჩვენი შვილისშვილები.

ასეთი სამწუხარო პერსპექტივის წინაშე მოაზროვნე ადამიანს მწარეთ დაღონება თუ არა, ღრმათ დაფიქრება მაინც შეჰფერის. რაც ამ ომის დროს მოხდა, მოულოდნელი იყო ყველასთვის. გერმანელი ერი მოწინაალმდეგეებს არც რიცხვით სჭარბობს, არც სიმამაცით და არც სხვა რაიმე რაინდული თვისებებით. ამისდა მიუხედავად მან მოახერხა ჩრდილო-საფრანგეთის, ბელგიის, პოლონეთის, სერბიის, მთაშავეთის და დობრუჯის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება. ჯერ კიდევ მის ხელშია, როგორც შეტევის ისე უკან დახევის თაოსნობა. და ხანგრძლივი შრომა და უადამიანო მსხვერპლია საჭირო, რომ ეს მდგომარეობა შეიცვალოს.

ზოგიერთი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ჰფიქრობს, რომ აღმოაჩინა ამ საკვირველი მოვლენის მიზეზები. ამბობენ, რომ გერმანელი ერი ომისთვის გულმოდგინეთ ემზადებოდა ორმოცი წლის განმავლობაში, მოწინაალმდეგენი კი თავს არ იტკივებდნენ ან ნაკლებ ზრუნავდნენ. ერთი ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე, მეორე მსოფლიო მშვიდობიანობაზე.

ომის წინა წლებში რუსეთი ჯარსა და ფლოტზე საშუალოდ ორ მილიარდ ფრანკს ხარჯავდა წლიურად. ინგლისი ამავე მიზნით ერთ მილიარდსა და 800 მილიონ ფრანკს იღებდა, საფრანგეთი ერთ მილიარდ ნახევარს. გერმანეთის სამხედრო გასავალი სჭარბობდა სხვა დიდი სახელმწიფოებისას (2 მილიარდი და 300 მილიონი ფრანკი), მაგრამ რადგან სამაგიეროდ ავსტრიაუნგრეთი ამ მხრივ ყველაზე დაბლა იდგა, ცენტრალური სახელმწიფოების საერთო სამხედრო ბიუჯეტი მაინც ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ოთხთა შეთანხმებისა.

და შეიარაღებული არმია თითქმის ერთნაირი სისწრაფით იზრდებოდა ევროპაში.

მაგრამ

ნაყოფი სხვა და სხვა გვარი აღმოჩნდა მოპირისპირე მხარეზე. ეს შეიძლება იმით აიხსნებოდეს რომ ერთი მხარე მეტის დაზოგვით ხმარობდა გაღებულ თანხას. ისიც შესაძლებელია, რომ გერმანიას უფრო იაფად უჯდებოდა ფოლადის ჯავშანი და რკინის ჯაგარი მიტომ, რომ მის ნიადაგზე მეტი ლითონი და ქვანახშირი მოიპოება, მისი ხალხიკი უფრო შეჩვეულია თავ-აუღებელ ეგვიპტურ შრომას. რაც უნდა იყოს მტრის უპირატესობა უცილობლად გამოაშკარავდა სამხედრო ტეხნიკაში. ეს გარემოება იმ თავითვე ბევრს რასმე ავალებდა ოთხთა შეთანხმების ხელმძღვანელებს. ბუნებრივი იყო მათი ენერგიული მოწოდება მეტი და მეტი მზადებისაკენ. მაგრამ ამ მოწოდებას სწრაფი მოქმედებაც უნდა მოჰყოლოდა.

ვ. ღელიანი.

ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო

პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი „სახალხო ფურცლის“ 709 ნუმერში უსაყვედურებს „საქართველოს“—„ჩვენი მეგობარის“ დინჯათ და მშვიდათ“ დაწერილი ამბავი გადაუბეჭდია და თან „თავისებურად გაუგია და საკუთარი დასკვნაც დაურთავსო“.

ბ. ივ. ჯავახიშვილი მკვახედ აცხადებს: „სრულებით უსაფუძვლოა „საქართველოს“ რედაქციის მსჯელობა იმის შესახებ, ვითომც ფაკულტეტმა გვერდი ამიხვიაო“... და კიდევ ქვევით ამბობს: „... ჩივილი იმის შესახებ, ვითომც „ჩვენს ეროვნულს თვით მოყვარეობას კიდევ ერთი წიხლი უთავაზეს და ვითომც ამგვარი ბრალი ფაკულტეტს ედებოდეს, სრულებით უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოსო“...

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ პრივატ-დოცენტს, რომ მის საყვედურის მისამართი შემცდარია, ვინაიდან მთელი წერილი, „საქართველო“-ში დაბეჭდილი, ამოღებულია ნახევრად „ჩვენი მეგობარის“ მეთაურიდან და ნახევრად იმავე გაზეთში დაბეჭდილ ვ—ს წერილიდან, რაიც ჩვენ აღნიშნული გვქონდა...

ჩვენს რედაქციას კი თავის მხრივ ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს ბ. ივ. ჯავახიშვილის „გვერდის ახვევის“ გამო.

აკადემიურ ეთიკას უფრო შეეფერებოდა, რომ სანამ პატივცემული პრივატ-დოცენტი „ჩვენი მეგობარის“ ნაწერს „დინჯის და მშვიდის“ ეპიტეტით დააჯილდოებდა, თვით ეს წერილი გულდასმით წაეკითხა... მაშინ „ჩვენი მეგობარის“ ნათქვამისთვის „საქართველოს“ აღარ აუხირდებოდა.

ამგვარ კაზუსზე იტყოდა რომაელი: cursus errore falli!..

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთს და ავსტრიას ორი უშველებელი ქედი საზღვრავს. კარპატების სამხრეთის ნაწილები და ტრანსილვანიის ალპები. კარპატები ბუნებრივი საფარია მოლდავანიისა. ალპები კი დიდის და პატარა ვალახიისა. გერმანელი გენერალი ფალკენჰაინი დღევანდლამდის ამ ორივე ქედის გადმოლახვას ლამობს. საშინელი უგზოობა, უშველებელი მთები საშუალებას უსპობს მოპირდაპირეს განზრახულ სისწრაფით აწარმოოს ოპერაცია. საზოგადოდ ბრძოლა მთაში განსაკუთრებულ ტეხნიკას და სტრატიგიულ დაკვირვებას მოითხოვს. იმისდა მიხედვით თუ რომელი მდინარით ან ღელით შეიძლება წინსვლა, მთების გადალახვა და ვაკეში გადასვლა, მთელი მებრძოლი ძალაც შესაფერისად უნდა დაინაწილოს. მასთანავე თვითოეული მათგანი ყოველთვის დამოუკიდებელი მოქმედებს და ხშირად არავითარი კავშირი არა აქვს იქვე ახლოს მდგომ თავისიანთ რაზმთან. მთაში გამაგრება და მოპირდაპირესთან გამკლავება უფრო ადვილია, ვიდრე იერიშების წარმოება. შორს ნუ წავალთ; მოვიგონოთ კავკასიის ომი შამილის მეთაურობით. მიუხედავად იმისა, რომ რუსები გაცილებით სჭარბობდნენ როგორც რიცხვით, ისე ცოდნით თუ ტეხნიკით, მაინც ბევრი დრო და მსხვერპლი დასჭირდათ ამ მთის შვილის დასამორჩილებლად. ალპები და კარპატები კავკასიონს არ ჩამოუვარდებიან. გენ. ფალკენჰაინს ყოველივე უბრალო ბუქურის აღებისათვის საკმაო დრო სჭირდება. ოპერაცია სულ სხვა სახეს მიიღებს მას შემდეგ, როდესაც მოპირდაპირე ველად ჩამოვა. ახლა კი მთელი ასპარეზი დანაწილებულია რამოდენიმე პატარ-პატარა ბრძოლის ველად; თვითეული მათგანი მიკუთვნილ მიდამოში აწარმოებს შეტევას.

მიუხედავად ამისა მთელი რუმინეთის ასპარეზი ფალკენჰაინისათვის ორ მთავარ საოპერაციო ასპარეზს წარმოადგენს: ჩრდილოეთის, მოყოლებული დორნა-ვარტიდან მდ. ბუზეუმდე, ჩრდილო-დასავლეთის მდ. ბუზეუიდან ვიდრე ორშოვამდე. პირველი მიმართულია მოლდავანიისაკენ; მეორე ვალახიის დასაპყრობად. თვითეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული მიმართულება აქვს და ფალკენჰაინიც, იმის და მიხედვით თუ რამდენად დამკვიდრდება ამა თუ იმ მეორე ხარისხოვან მიდამოში, მაშინათვე გამაგრებულ იერიშებს იწყობს მთავარ ხაზით და ყოველთვის აიძულებს ხოლმე რუმინელებს დასტოვონ სიმაგრეები და უკან დაიხიონ მოლდავანიის ასპარეზისათვის ასეთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად ჩვენ ვსცნობთ მდ. ოიტუზის კალაპოტს. ამ მდინარის ნაპირებით ფალკენჰაინი გამოიყვანს მდ. სერეტზე და მასთანვე გზას გაუხსნის ფოქშერის ველის დასაპყრობათ. მაშინ მდ. ბუზეუს, რომელსაც ბევრი სამხედრო მიმომხილველი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, თავისთავად მნიშვნელობა ეკარგება, რადგან მდ. ოიტუზით წამოსული მტერი უფრო მალე ჩამოვა მდ. სერეტზე, მიაბჯენს ამ მდინარეს მარცხენა ფრთას და მარჯვნივ, ე. ი. სამხრეთით ზურგ გამაგრებული, უფრო გაბედულად დაეშვება. ის მიზანი, რომელსაც ელტვის მოპირდაპირე, შეიძლება განხორციელდეს მდ. ბუზეუიდანაც, მაგრამ აქ უფრო მისი მდგომარეობა სახიფათო იქნება, რადგან ტეკუჩიდან და ფოქსანიდან რუმინელები და რუსები რკინის გზებით ადვილად მოიშველებენ ჯარს და ფალკენჰაინის რაზმის მარცხენა ფრთას, გამოსულს მდ. ბუზეითი, განსაცდელში ჩააგდებენ, ასეთ კონტრ-ოპერაციისაგან თავისუფალია ოიტუზით წამოსულთ მოპირდაპირე იმიტომ, რომ მდინარე სერეტი მას დიდ დახმარებას გაუწევს.

ვალახიის ასპარეზისათვის მთავარი მიმართულებაა მდ. პრახოვო, ე. ი. პრედეალის უღელტეხილი. ჩვენ ოპერაციის დასაწყისშივე, მაშინ, როდესაც ავსტრიელები მხოლოდ საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდნენ, პრედეალის უღელტეხილს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. ოპერაციის განვითარებამ ჩვენი მოსაზრება სავსებით გაამართლა. ახლა თითქმის ყველა მიმომხილველი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ მიმართულებას. მართლაც ფალკენჰაინი ვალახიის გადასალახავად უსათუოდ ამ გზით უნდა წამოვიდეს. გარდა იმისა, რომ აქედან რკინის გზა მიდის ბუქარესტისაკენ, თვით ადგილი უფრო ადვილია გადასალახავად, ვიდრე დანარჩენი რომელიმე მიდამო, სადაც კი ახლა ბრძოლა სწარმოებს. მასთანვე აქ გამარჯვებულ ფალკენჰაინს საშვალება ექნება მოსწყვიტოს პრედეალიდან ორშოვამდე რუმინეთის მომქმედი ჯარი და რუსეთისაკენ მიმავალი გზები გადაუჭრას.

გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით მდ. ოიტუზით მოპირდაპირეს იერიშები დაუწყვია და რუმინელები იძულებული გამხდარან უკან დაეხივნათ სასტიკ ბრძოლის შემდეგ. დანარჩენ ადგილებში გამაგრებული ბრძოლა სწარმოებს. კიმპოლუნგის მიმართულებით, როგორც ოფიციალი იტყობინება, ავსტრიელები საშინელი სიმკაცრით განაგრძობენ შეტევას.

დობრუჯაში მოკავშირეებს მარცხენა წვერით წინ წაუწევიათ. რა მოხდა ჩერნოვოდის ხიდთან მას შემდეგ რაც რუმინელებმა მაკენზენის რაზმები განდევნეს და სამი ვერსით მიუახლოვდნენ ხიდის ყურის სიმაგრეებს, დღესაც არ ვიცით, ოფიციალი დეპეშა არას ამბობს ამის შესახებ. მაკენზენმა რომ ხიდი ჩაიგდო ხელში და გადავიდა მდინარის მარცხენა ნაპირზე, ამას თვით ოფიციალი დეპეშა იტყობინებოდა. ჩერნოვოდის ხიდს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მაკენზენისათვის, რომ ყოველგვარ საშუალებას იხმარდა მის დასაფარად, შესანარჩუნებლად, ხიდიდგან სამი ვერსის სიშორეზე ბრძოლის წარმოება უეჭველია ხიდს განსაცდელს უქადის. ყოველთვის მოახერხებენ რუმინელები საარტილერიო ცეცხლით სრულებით დაანგრიონ ხიდი. თუ დღევანდლამდე ცნობა არ არის ამის შესახებ, უფრო ის უნდა ვიფიქროთ, რომ მაკენზენმა ჯარი მიაშველა და რუმინელები აიძულა ხიდის დაპყრობაზე ხელი აეღოთ.

რუსეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არსად მომხდარა. ავსტრიელები დორნა-ვატრასთან კარპატებში უშედეგო იერიშებს აწარმოებენ.

X.

ომის დეპეშები

1 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. გარბუზოვ-გუკალოვცეს მიდამოებში, ბრძოლის ველის თვალიერების დროს მსკდომარე ტყვიით მოჰკლეს სახელოვანი სარდალი ბრიგადისა გენერალ-მაიორი რემიზოვი. მდ. ნარაიუვკაზე, სოფ. ლიპილა დოლნაიას და სვისტელნიკის მიდამოებში ჩვენი ჯარი მოპირდაპირის სანგრებს ზარბაზნებს უშენდა. მოპირდაპირე ნაღმისა და ყუმბარის მტყორცნელებით გვიპასუხებდა. ბრძოლა გრძელდება. სოფ. ბოგოროდჩანის მიდამოებში ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ; მათ 2 წყება მავთულის ხლართებისა განვლეს, მტრის სადარაჯოზე იერიში მიიტანეს და რამდენიმე კაცი დაატყვევეს. ტყიან კარპატებში სოფ. დაიმრონის სამხრეთ-დასავლეთით მტრის შემოტევა ხიშტებით მოვიგერიეთ და მტერი დიდად დავაზარალეთ. დორნა-ვატრას სამხრეთით ხოლოტოლდეაშის მიდამოებში მტრის მედგარი იერიშები გრძელდება.

კავკასიის ასპარეზი. გუმიშხან ხანის დასავლეთით და ყიგის სამხრეთით ოსმალების შემოტევა მოვიგერიეთ.

რუმინეთი: ტრანსილვანიის ასპარეზზე, მდ. ოიტუზის ველში, მოპირდაპირემ შეუტია რუმინელების ჯარს და უკან დაახევინა. სამაგიეროდ რუმინელებმა ამ ველის ჩრდილოეთით და სამხრეთით შეუტიეს და მაღლობები დაიჭირეს. მოპირდაპირე ცხარედ იბრძვის კიმპოლუნგის (რუმინეთშია) მიდამოებში, მდ. ჟიუს ველსა და ორშოვასთან. აქ ბრძოლა გრძელდება.

დობრუჯაში მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარმა რაოდენიმედ სამხრეთისაკენ წინ წაიწია.

ბალტიის ზღვა. 28—29 ღვინობისთვეს, მტრის 36 კვანძიანი ნაღმოსნების ფლოტილია ფინეთის სრუტეში შემოიჭრა. დიდი ნისლის გამო გვიან შეამჩნიეს, რის გამოც რამდენიმე წუთს მტერმა მოასწრო ბალტიის ნავთსადგურისათვის ასიოდე ყუმბარის სროლა, უმეტესად შრაპნელისა. მოჰკლეს 7 მცხოვრები, მათ შორის 5 ბავშვი და 2 ჯარის კაცი. დაჭრილია 1 დედაკაცი და 4 ჯარის კაცი. რამდენიმე შენობა დაზიანდა, 12 ცხენია მოკლული. სწრაფი უკან დახევის დროს, მტრის ნაღმოსანთა უმეტესი ნაწილი ჩავძირეთ. უკან დევნა შევაჩერეთ ხშირი ნისლის გამო და იმისთვისაც, რომ შევამჩნიეთ, რომ მოპირდაპირეს გზა შეეკრა. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

შავი ზღვა. ბოსფორში ჩვენმა წყალქვეშამ ერთი გემი დალუპა, რომელიც გაირიყა. ამავე წყალქვეშამ დალუპა 1 იალქნიანი ხომალდი, ხოლო მეორე სევასტოპოლში მიიყვანა.

31 ღვინობისთვე.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიაში, სლანიჩის ველში მტრის იერიში მოვიგერიეთ. ბუზეოს ველში, ტაბლაბუცს, ბრატოჩსა და პრედეალში ცვლილება არ მომხდარა. პრახოვის ველში ზარბაზნების მედგარი სროლის შემდეგ, მოპირდაპირემ რამდენჯერმე შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ. ჩვენი სანგრები შევინარჩუნეთ. დრაგოსლაველის მიდამოში მოპირდაპირის სანგარი ავიღეთ. მდ. ალიუტის მარცხენა ნაპირას ცხარე ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ჩრდილოეთისაკენ წავიწიეთ და ფრუტზილეს მაღლობი დავიჭირეთ. მდ. ალიუტის მარჯვენა კიდეზე მტრის იერიში შევაჩერეთ გიგლუდს და ბარჩაინეშტთან. მოლდავიის მთაზე, ჟიუს აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება.

1 გიორგობისთვე

ლონდონი. საადმირალოს ცნობა. გუშინ ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანების რაზმმა ყუმბარები დაუშინა დრამისა, პარმისა და ანგისტოს ჰაეროდრომებს.

რომი. იტალიელების ოფ. ცნობა. ტრენტინოს ასპარეზზე, ვალარსის და ტერ-ანოლის ველის შუა მოპირდაპირის ჯარისა და ტრანსპორტის არაჩვეულებრივი მოძრაობაა.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ტროტუშის ველში ჩვენმა ჯარმა იერიშით აიღო ადუნიშის მთა, გაიოზის ჩრდილოეთით 8 ვერსის მანძილზე, აგრეთვე ავიღეთ პრონტეზელის მთა აგაშის ჩრდილოეთის 7 ვერსის მანძილზე. უზულის ველში ჩვენმა ზარბაზნებმა უზვორის დაბაში მტრის ქარხანა დაანგრიეს. ჩერნიცის მთის გზით მოპირდაპირემ სამი იერიში მოიტანა, ოცანიცისა და ოიტუზის შუა, მაგრამ მოვიგერიეთ. ამავე დროს სამაგიერო იერიშით მივედით ვრაჩნასა და ჟიუს შუა და ავიღეთ ლუპოჩის და მოარტუს მაღლობი. მდ. ბუზეოს მარჯვენა ნაპირას დილის 7 საათზე დაწყებული მტრის იერიში 8 საათზე მოვიგერიეთ. მზვერავთა მოქმედება გრძელდება. პრახოვის ველში ზარბაზნების სროლაა. დრაგოსლავლის ველში მტერმა კონდეშზე იერიში მოიტანა. მდ. ალიუტის მარცხენა კიდეზე ჩვენ წინ ვიწევთ. ალიუტის მარჯვენა ნაპირას მოპირდაპირემ თავგანწირული იერიში მოიტანა. ჟიუს ველში, მტრის მედგარი შემოტევის გამო, ჩვენმა ჯარმა ცოტა უკან დაიხია სამხრეთისაკენ. ორშოვის მიდამოებში მოპირდაპირე თავგანწირვით გვიტევს.

დობრუჯის ასპარეზზე იმანჩიომის ხაზზე წინ წავიწიეთ და ასიოდე კაცი დავატყვევეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პოლონეთის სამეფო

პოლონეთის მეფე

ამას წინად იმპერატორი ვილჰელმი, ბულგარეთის მეფე ფერდინანდი, ერცჰერცოგი ფრიდრიხი და ჰინდენბურგი სადარბაზოდ იყვნენ ერცჰერცოგ კარლ სტეფანთან. ამის გამო გადაჭრით ამბობენ, რომ პოლონეთის მეფედ ერცჰერცოგ კარლ-სტეფანს დასვამენო.

ბრუძინსკის პასუხი

როდესაც ვარშავის სამეფო ციხე-დარბაზში გენ. ფონ-ბეზელერმა პოლონეთის სამეფოს აღდგენის მანიფესტი წაიკითხა, ვარშავის უნივერსიტეტის რექტორმა ბრუძინსკიმ სამადლობელ სიტყვაში სთქვა: სასურველია რაიმე გარანტია გვქონდეს, რომ აღთქმული სინამდვილედ იქცევაო. ასეთ გარანტიად კი შეიძლებოდა ყოფილიყო ეხლავე დანიშვნა მეფისა, რომელიც იქმნებოდა ემბლემა პოლონეთის სამეფოსი. ამავე დროს უნდა შესდგეს დროებითი მთავრობაც, რომლის მოქმედებაც პოლონეთის სამეფოს სრულ მოწესრიგებამდე გაგრძელდებოდა.

გაზეთების აზრი პოლონეთის ხამეფოს აღდგენაზე

ავსტრიის სოც.-დემოკრატების გაზეთი „ალბეიტერ ცაიტუნგ"-ი სწერს: რესკრიპტში მხოლოდ მეფის სურვილია გამოთქმული გალიციის ავტონომიის შესახებ, ხოლო ეს საქმე, საკანონმდებლო გზით უნდა ლასრულდესო. ალბად თვითონ მთავრობასაც კარგად არა აქვს გათვალისწინებული, თუ რაში უნდა გამოიხატოს გალიციის ავტონომიის გაფართოვებაო.

შეიდემანის აზრი

გერმანეთის რაიხსტაგის სოც.-დემ. დეპუტატ შეიდემანის აზრით გერმანელებისა და პოლონელების მეგობრობა დაუჯერებელია. გერმანეთი მხოლოდ მაშინ მიაღწევდა ასეთს მეგობრულს განწყობილებას, როდესაც პოლიტიკას არსებითად შესცვლიდა: „უგულო კავშირი დამღუპველია". ზავის შესაკვრელად ორივე მხარის თანხმობაა საჭირო. მხოლოდ ერთი მხარის სურვილით არავითარი ზავი არ შეიკვრის. შეიდემანის აზრით შეუძლებელია ხელოვნურათ შექმნა სახელმწიფოსი. ასე ხელოვნურად შექმნილი რამ მუდამ დღემოკლეა.

პრეზიდენტის არჩევნები ამერიკაში

დიდი პარტიული ბრძოლა გაჩაღდა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნების დროს. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია 16 მილიონზე მეტს კაცსა და ქალს. 26 ღვინობისთვეს, საღამოს 6 საათზე აღმოჩნდა, რომ ვილსონს მიუღია 237 ხმა, იუზს 232. ამ დროს ჯერ არ იცოდნენ შედეგი კალიფორნიისა, ინდიანისა, კანზასისა, მინესოტისა, ნიუ-გემშირისა, ახალ მექსიკასა და ორეგონის შტატების არჩევნებისა.

პრეზიდენტის არჩევნებში გადამწყვეტი მნიშვნელობა თურმე ყოველთვის ნიუ-იორკის შტატსა ჰქონია. ამ შტატში იუზმა 100 ათასი ხმა მეტი მიიღო ვილსონზე. ასეთივე დიდი უმრავლესობა ხმისა მიიღო იუზმა ილინოისის შტატშიაც. ამის მიხედვით ნიუიორკიდან ლონდონში ატყობინებენ: იუზის გამარჯვება უეჭველიაო.

იუზის არჩევა

ნიუ-იორკიდან პარიზში სწრაფის დეპეშით 26 ღვინობისთვეს შუაღამის 12 საათზე ატყობინებენ: ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად იუზი აირჩიეს.

„რეჩ"-ის აზრი

ახალი პრეზიდენტი იუზი მხოლოდ 1917 წლის 4 მარტიდან შეუდგება თავისი მოვალეობის ასრულებას, რადგანაც მანამდე მისი არჩევნები უნდა მოწესრიგდეს და დაკანონდეს. მანამდე კი ისევ დამარცხებული ვილსონი იპრეზიდენტებს და, ალბად, განაგრძობს თავისს „ნეიტრალობას"-აო.

მილოცვა იუზს

მოსკოვ-ამერიკის სავაჭრო პალატის დავალებით თავმჯდომარემ ნ. ი. გუჩკოვმა ახლად არჩეულ პრეზიდენტს ჩარლზ ევანს იუზს შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა: „მოსკოვში არსებული რუსეთ - ამერიკის სავაჭრო პალატა უგულითადეს მადლობას გიძღვნით თქვენი არჩევის გამო და გისურვებთ ჯანსაღობას და ძალ-ღონეს, რათა მარჯვეთ აღასრულოთ ეგოდენ მძიმე და პასუხსაგები მოვალეობა, რაც მთელი ერის სურვილით დაგეკისრათ".

სახელმწიფოთა დავალიანება

„რუსკ. ვედომ"-ში რევიევერს საგულისხმო ცნობები მოჰყავს, თუ რუსეთს რამდენი ვალი აუღია ომიანობის გამო. მისის ანგარიშით 1917 წლის 1 იანვრამდე რუსეთის ვალი 31—32 მილიარდ მანათს მიაღწევს. დღევანდლამდე ვალი $22^1/_2$ მილიარდ მანათს უდრიდა.

„რუსკ. სლოვოს" ცნობებით დღევანდლამდე მეომარ სახელმწიფოთა დავალიანება 114 მილიარდ მანათს უდრის. აქედან გერმანეთისა და მის მოკავშირე სახელმწიფოთა ვალი 44 მილიარდ და 86 მილიონ მანათს უდრის, ხოლო მოკავშირეთა ვალი 70 მილიარდ მანათს. აქედან ინგლისის ვალი 72 მილიარდ ფრანკს უდრის, საფრანგეთისა 45 მილიარდს, რუსეთისა 42 მილიარდს, იტალიისა 20 მილიარდს.

რამდენი დახარჯულა წინანდელ ომიანობაზე.

ნაპოლეონის ომები საფრანგეთს 520 მილიარდი ფრანკი დასჯდომია. ხოლო ინგლისს, რომელიც ნაპოლეონთა მებრძოლ სახელმწიფოებს ფულით ხელს უმართავდა, $15^1/_2$ მილიარდი ფრანკი გაუცია.

მე-60 წლებში პრუსიას დანია ავსტრიასთან ომი 2 მილიარდი ფრანკი დასჯდომია.

საფრანგეთ პრუსიის ომი საფრანგეთს 15 მილიარდი ფრანკი დაუჯდა.

1883 წლიდან 1913 წლამდე სამხედრო სამზადისზე გერმანეთს დაუხარჯავს 2 მილიარდი და 300 მილიონი ფრანკი, რუსეთს—2 მილიარდი და 78 მილიონი, ინგლისს—1 მილიარდი და 830 მილიონი, საფრანგეთს 1 მილიარდი და 470 მილიონი, ავსტრია-უნგრეთს—600 მილიონი.

რუმინეთში

„რეჩ"-ის აზრით ტრანსილვანიაში ფალკენჰაინის მოქმედების დაცხრომა იმითია გამოწვეული, რომ იგი გაგზავნილ მაშველი ჯარის მოლოდინშია.

„უ. რ."-ის მიმომხილველი სწერს: დობრუჯაში მზვერავთა შეჯახებაა ვასიმჯა—ისიმნიკ—ტავერდი - დევენდერიას ხაზზეო.

ბუქარესტიდან ნახევარზე მეტი მცხოვრებნი გახიზნულან, რადგანაც დღე-მუდამ მტრის საფრენები თავს დასტრიალებდა ბუქარესტს და ყუმბარებს უშენდა. მთავრობის დაწესებულებანი იასაში გადაუტანიათ. უკანასკნელ დროს კი, რადგანაც საფრენების თავდასხმა შემცირებულა, მცხოვრებნი ბუქარესტს უბრუნდებიანო.

„ბ. ვ."-ის ცნობით, ფალკენჰაინის და მაკენზენის მოქმედება შედარებით დასცხრა მაშველი ჯარის მოლოდინში. ისინი მალე განაახლებენ შეტევას. მოსალოდნელია, რომ მაკენზენმა დუნაი გადალახოს, ან ბესარაბიაში შეიჭრასო.

გერმანელების განმარტება

საფრანგეთში, ვერდენის ასპარეზზე, ფრანგებმა ამას წინად დაიბრუნეს სიმაგრე დუომონი და ვო. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ აქ გერმანელებს ადრევე დაუტოვებიათ სანგრები და უკან დაუხევიათ.

გერმანელების ოფიც. ცნობებით, ვერდენთან ბრძოლას ის დანიშნულება ჰქონდა, რომ გაეუქმებინა დუომონისა და ვოს სიმაგრეები და ვერდენის სიმაგრისათვის დაეკარგათ მნიშვნელობა მეცის წინააღმდეგ საომქმედო ჯარის დასაყრდნობ ადგილისა. ეს მიზანი უკვე მიხწეულიაო.

ფრანგული გაზეთები სწერენ: თუ კი ვერდენს მნიშვნელობა არა ჰქონდა, გერმანელებმა ამ სიმაგრის მიდამოებს 400 ათასი მეომარი რად შეანარცხესო? გაზეთებში არ არის მოხსენებული, თუ რამდენი ფრანგი მამულიშვილი იმსხვერპლა ვერდენის ბრძოლამ.

გაბრიელ დ'ანუნციო.

იტალიის ცნობილ მწერალს გაბრიელ დ'ანუნციოს კაპიტნობა მისცეს სამხედრო სამსახურში თავის გამოჩენისათვის.

უკანასკნელი ცნობები

მიტროპოლიტ პიტირიმის ავადმყოფობის გამო

მიტროპოლიტ პიტირიმს კიევში აგზავნიან ჰაერის გამოსაცვლელათ.

პოლონეთის საკითხის გარშემო

სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე პრემიერ მინისტრი შტიურმერი საგარეო პოლიტიკაზედ ილაპარაკებს და პოლონეთის საკითხს შეეხება.

—

უველაზე ძლიერ კანდიდატათ პოლონეთის ტახტზედ ასახელებენ ერცჰერცოგ კარლ-სტეფანს. ასახელებენ აგრეთვე ვილჰელმის შვილებს: ეიტელ-ფრიდრიხს და იოხიმს.

—

პოლონეთის საკითხზედ სახელმწიფო საბჭოში გრაფი ვოლეპოლსკი დეკლარაციას წარმოსთქვამს.

შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნები.

შეერთებულ შტატების არჩევნების შედეგი ჯერ არ არის საბოლოოთ გამორკვეული. რესპუბლიკანელებსაც და დემოკრატებსაც გამარჯვების იმედი აქვთ. საკითხს გამოარკვევს ჰმათა რამოდენიმე ათასი, რომელიც ჯერ დათვლილი არ არის.

ახალი ამბავი

სახახლეში.

◆ მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლის ძეს წარუდგა სადარბაზოდ სენატორი ჩაპლინი, რომელიც დარბაზობის შემდეგ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ფრესკების გამოფენა.** ქართ. ხელოვანთა საზოგადოებამ თვის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა მოაწყოს ფრესკების გამოფენა ამ მოკლე ხანში. გამოფენილ იქნება როგორც საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების, ისე ხელოვანთა საზ. ფრესკები, სულ 40 ცალამდე, მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული. ბ-ნ გ. დ. ქურულს მიენდო შესაფერ ბინის მოძებნა, ვინაიდან „ახალ კლუბის" დარბაზში არ ხერხდება გამოფენის მოწყობა. გამოფენა 10 დღეს გასტანს. გამოფენის გახსნის წინ ე. ს. თაყაიშვილი მოხსენებას წაიკითხავს ამ გამოფენის მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ ბ-ნი შავარდნაძე ნაბახტევის ტაძრის მხატვრობაზე წაიკითხავს მოხსენებას. პირველ დღეს გამოფენაზე შესვლის [illegible] 80 კ., ხოლო [illegible] კ., დანარჩენ დღეებში 30 კ. და მოწაფეთათვის 10 კ.

◆ **საქველმოქმედო საზოგადოების** საქალებო საფეიქრო სკოლაში 31 ღვინობისთვეს მივიდა ტატიანას სახელობის კომიტეტის წევრი, სენატორი ჩაპლინი. ჩაპლინს თან ახლდნენ თავმჯდომარე საზოგადოებისა მ. ვ. მაჩაბელი და თავმჯდომარის ამხანაგი პ. ა. გოთუა. სენატორმა გულდასმით დაათვალიერა სკოლა, მუშაობა და ნამუშევარი,—ყველაფერი მოიწონა. გამოთხოვებისას სენატორმა მადლობა გამოუცხადა სკოლის გამგეს ქ-ნ მარ. ვახტ. მაჩაბლისას და მასწავლებელს ქ-ნ გლურჯიძისას, ხოლო მ. ვ. მაჩაბელს და პ. ა. გოთუას აღუთქვა, ვეცდები სკოლის სასარგებლოდ 24 ათასი მანეთი გამოვითხოვოო.

◆ **მოხსენება სენატორ ჩაპლინს.** ქ. საქვ. საზ. გამგეობის თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება გადასცა საზოგადოების მოქმედებისა სენატორ ჩაპლინს, როგორც მთავარ რწმუნებულს მათ უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტისა. მოხსენებაში გამგეობა ვრცლად ეხება იმ ხარჯებს, რომელსაც გამგეობა მისდამი რწმუნებულ დაწესებულებებზე ეწევა. გამგეობა სენატორის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხარჯებს ძლიერ ფთხილად ახდენს გამგეობა, რაც იქიდანა სჩანს, რომ საზოგადოების მთელი თვიური ხარჯი უდრის 7335 მანეთს. დასასრულ თვის მოხსენებისა გამგეობა სთხოვს სენატორს უშუამდგომლოს კომიტეტის წინაშე ყოველ თვიურად დაწყებული 1 ენკენისთვიდან ამა წლისა 9000 მან. აძლიოს ქარ. საქველმ. საზ. გამგეობას.

◆ **ქ. საქვ. საზ. გამგეობა სთხოვს** ბათომის განყოფილებას უმუშავარ ლაზები და აჭარლები გაგზავნოს ფოთში თანახმად ფოთის სარაიონო განყოფილების შუამდგომლობისა.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **საქველმოქმედო მიზნით** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ქართველ ქალთა საქვ. საზ. გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ნ. გაბაშვილისას, ამ საზოგადოების თანხით არსებულ ჭრაკერვის სკოლის სასარგებლოდ ყველა სასტუმრო-რესტორანებში ანგარიშის მირთმევის დროს სტუმრის ნება-ყოფლობით თითო შაური გადაახდევინოს ყოველ მიტანილ ანგარიშზე.

◆ **ქალთა შრომის საკითხი.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო 4 გიორგობისთვეს „კავკ. ქალთა სამრეწველო შრომის საზოგადოებას" მოიწვიოს კრება საზოგადოების მოქმედების დაწყების თაობაზე.

◆ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო მასწავლებელ და აღმზდელ ქალთა საზოგადოების გამგეობას 6 გიორგობისთვეს სამუსიკო საზ. დარბაზში ივ. თ. პელმოვის ლექცია გაიმართოს შემდეგ თემაზე: „ქალის როლი ისტორიაში.

სასამართლო

◆ **უმანსკის მკვლელობა.** საოლქო სასამართლოში დასრულდა თბ. ავეჯეულობით მოვაჭრე ცნობილ უმანსკის მკვლელობის საქმე. უმანსკი თბილისშივე ცნობილ საცვლების სარეცხის ქარხნის პატრონმა რაიგოროდსკიმ მოჰკლა, როცა თავის ცოლზე ეჭვი მიიტანა. სას მართლომ მკვლელს $8^1/_2$ წლის კატორღა მიუსაჯა.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **თ-დ ა. ნ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობის გამო.** ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ა. ნ. ჩერქეზიშვილი, როგორც პეტროგრადიდან დეპეშით გვატყობინებს ბ-ნი ალ. ქორქია, თანდათან რჩება და მალე საავადმყოფოდან სახლში გადაიყვანენ.

◆ **ჟურნალის გამოცემა.** ქართველ მოწაფეთა ჯგუფს განუზრახავს გამოსცეს თბილისში პირველ იანვრიდან სამოწაფო-სამხატვრო, სალიტერატურო ჟურნალი.

◆ **ლექცია ივ. ვართაგავასი.** ახალ კლუბის საკონცერტო დარბაზში, 6 გიორგობისთვეს, დილის 12 საათზე, ბ-ნ ივ. ვართაგავა წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო! გარჩეული იქნება შ. მღვიმელის ნაწერები, ამ 25 წლის განმავლობაში, რომ დაბეჭდილა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს საღამოს სახ. სახლ. არსებ. ქართ. წარმოდგენების მმართველ წრის მიერ კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ბელოის დრამა „უმუშევარნი". დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 10—54 კ.-მდე.

◆ **ახალი კოოპერატივი.** თბილისის პენსიონერთა საურთიერთო დამხ-

მარე საზოგადოებამ კოოპერატივი დაარსა თავის წევრთათვის. 31 ღვინობისთვეს კრება ჰქონდათ ახალ კოოპერატივის წევრებს და აირჩიეს: გამგეობის წევრებად კნ. ს. ი. თუმანიშვილისა, ვ. ნ. როშკოვი, ო. ვ. ჩუდეცკაია, გ. რ. ჩაჩიბაია და გ. რ. ტატიშვილი; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად—ა. ა. გრაბოტინი, თავ. ი. ი. ვაჩნაძე და ა. თ. ეგოროვა; სარევიზიო კომისიის წევრებად—ვ. მ. გედევანიშვილი, ვ. პ. გრიგორიევი და ბ-ნი სკავროვსკი.

✦ **ინსტრუქციების დაგზავნა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წლიურ კრებაზე დამტკიცებული ინსტრუქცია ამ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაუგზავნა განყოფილებებს სახელმძღვანელოთ.

✦ **სენატორი ჩაპლინი** გუშინ 11 საათ. და 13 წ. თბილისიდან პეტროგრადს გაემგზავრა. სადგურზე სენატორი გააცილა ქ. საქვ. საზ. გამგეობის თავმჯდომარემ მიხ. ვახტ. მაჩაბელმა, რომელსაც წასვლის წინ შეჰპირდა ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

✦ **სამუშევრის შოვნა.** ქ. საქველმოქმედო საზ. მთავარი გამგეობა საზოგადოების განყოფილებათა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სოხუმის განყოფილებას შეუძლიან სამუშაო ადგილი უშოვოს ომისაგან დაზარალებულ 100 ქართველ მაჰმადიანს და ასეთების სოხუმში გაგზავნა ეხლავე შეუძლიანთ.

ხიდნალი.

თავდასხმა. ს. გურჯაანში ადგილობრივ მედავითნეს რაჟდენ ლოლაძეს 6 შეიარაღებული უცნობი პირი თავს დაესხა და ნაღდ ფულად 200 მან. წაართვეს და 700 მანეთისაც ნივთეულობა. მედავითნე ბევრს ეხვეწ , შემიბრალეთ, წვრილშვილი კაცი ვარო, მაგრამ უცნობებმა უპასუხეს: შენ შეგიძლია სარჩო კიდევ იშოვო, ჩვენ კი, გამოქცეული ჯარისკაცები ვართ და ცხოვრების სახსარი არა გვაქვსო. გარდა მედავითნისა უცნობებმა იქვე სტუმრად მყოფი ბ. თათულოვიც გაძარცვეს: ფულად 18 მ. წაართვეს და სხვა და სხვა ძვირფასი სამკაული 270 მანათისა.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ №-ში **ლ. ჯ—ძის** წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომაა: სწერია: „მარგანეცის საერთო გაზიდვაში ინდოეთს 3294% მიუღია მონაწილეობა, ბრაზილიას 14,89%, ხოლო ჰიათურას კი 39,16%. უნდა იყოს: საერთო გაზიდვაში ინდოეთს 32,94% მიუღია მონაწილეობა, ბრაზილიას 14,89%, ხოლო ჰიათურის კი 39,16%.

თევდორე ჟორდანიას გასვენება

სამძიმრის დეპეშები

ქუთაისი: შავი ქვის მრეწველთა საბჭო და პირადათ მე სამძიმარს ვაცხადებთ, რომ ქართულ საისტორიო მეცნიერებას დააკლდა ისეთი პატივცემული მუშაკი, როგორიც იყო თევდორე ჟორდანია. ვსწუხვარ, რომ არ ძალმიძს დავსწრებოდი განსვენებას.

კიტა აბაშიძე.

—

ახალი-სენაკი: ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების განყოფილება თავისს უზომო მწუხარებას აცხადებს საქართველოს ისტორიის ძვირფას მკვლევარის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებისა გამო. პირუთვნელი ისტორია თავის დროზე ღირსეულად დააფასებს მის უკვდავ ნაშრომს, სამშობლო მეცნიერებისათვის გაწეულს.

გამგეობა.

—

ზუგდიდი: საქალებო მეორეკლასიანი სამასწავლებლო სკოლა მწარედ დასტირის თვის ყოფილ საეპარქიო მეთვალყურის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას. განსვენებული იყო, რომ ასეთის ცოდნითა და მოხერხებით იცავდა ქართულს ენას სამეგრელოს სკოლებში. დაუფასებელია მისი ღვაწლი, როგორც ნიჭიერის არქეოლოგოსისა და კეთილშობილ მოქალაქისა.

მინდობილობით გამგე მღვდელი **ტროფ. ჯოხთაბერიძე.**

—

მოსკოვი: მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთან არსებული აკაკი წერეთლის სახელობის საკულტურო წრე გულწრფელადა ჰგლოვობს თ. ჟორდანიას გარდაცვალებას.

—

ახალ-სენაკი: სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ვგლოვობთ თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას, რომელმაც სამშობლო საისტორიო მეცნიერება განამდიდრა უკვდავ ნაშრომებითა.

ვახ. არსენიშვილი.

—

ახალციხე: ვგლოვობ კალმის ძვირფას მსახურის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

დეკანოზი **დ. ხახუტაშვილი.**

სიტყვა,

თქმული ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში თ. დ. ჟორდანიას სულის მოსახსენებლად გადახდილის პანაშვიდის წინ, 1916 წლის ღვინ. 30.

საყვარელნო! წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში ისე დატრიალდა ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი, რომ ქართველის ერის შვილები ქართველ სამღვდელოების კრებულის შესავსებლად დაარსებულ სასწავლებელში მოკლებულნი იყვნენ ქართულის ენის და საქართველოს ისტორიის შესწავლის საშუალებასა: მთელი კვირის განმავლობაში ქართულს ენას დათმობილი ჰქონდა ორი თუ სამი საათი, ისიც ჟამნ-დავითნის საკითხავად. ხოლო, თუ რა ხალისით ჰკითხულობდენ ამ წმიდა წიგნებს სემინარიელები და რა საფუძვლიანად ითვისებდენ სამშობლო ენას, ცხადად სჩანს ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებითგან: მღვდლის ხარისხის მაძიებელ სემინარიელთ სულმნათი ყოვლად სამღვდელო გაენათის მონასტერში გზავნიდა,—„სწავლულთა“ განსასწავლად „უსწავლელთა“ მიერ...

ასეთი უნუგეშო მდგომარეობა დიდხანს გასტანდა, ჩვენს ერს რომ არ მოევლინებოდა სამშობლოს სიყვარულის საღვთო ცეცხლით აღტყინებული, დღეს წინაშე ჩვენსა უსიტყვოდ მდებარე თეოდორე დავითის ძე ჟორდანია. ამ მჭვრმეტყველმა და შორსმჭვრეტელმა მამულიშვილმა, მრავლითა **შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა** და იძულებითა, სათანადო მთავრობას დაარსებინა სემინარია-სასწავლებლებში ქართულის ენის და ისტორიის კათედრა, ხოლო მოწაფეთა გულში აღანთო ცეცხლი სამშობლო ენის და წარსულის სიყვარულისა. მიუხედავად იმისა, რომ თევდორეს მიერ წარდგენილი პროგრამა წითელი მელნით გაამეოთხედ-მეხუთედეს, ეს გონიერი მასწავლებელი მაინც ახერხებდა, პარალელებისა და კონტრასტების შემწეობით, შეესწავლებინა მოწაფეთათვის ქართული ლიტერატურა უძველესის დროითგან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე. ხოლო საეკლესიო წიგნების და ისტორიის შესწავლა ისე დააყენა, რომ არა ერთსა და ორს საუკეთესო მოწაფეს აღუძრა სურვილი მოძღვრის ხარისხში ემსახურნა მშობელ ერისათვის და მიეყო ხელი მის თავგადასავალის და გონების ნაწარმოების საფუძლიანად შესწავლისათვის...

გაამაგრა რა ამ მხრით ქართულ ენისა და ისტორია-ლიტერატურის შესწავლის საქმე სასულიერო სასწავლებლებში, დედაენისთვის თავდადებული მამულიშვილი გაეშურა სამშობლოს იმ კითხისაკენ, სადაც მისი სათაყვანო საგანი საფრთხეში იყო ჩავარდნილი: სამეგრელოში საეკლესიო სკოლების გამრავლებით და იქ ქართულის ენის განმტკიცებით, მან მოუნადირა ამ სკოლას ხალხის გული და იძულებულ-ჰყო სამოსწავლო უწყებაც, შემოეღო თავის სკოლებში ქართული ენა...

ამავე დროს, ეს დაუღალავი მუშაკი გვიწერდა ქართულის ენის გრამატიკას, გვიკრებდა „ხრონიკებს“, გვიდგენდა კატალოგებს, გვისტამბავდა მონოგრაფიებს, გვიმაგრებდა მეცნიერულ ნიადაგზედ დამყარებულის მოხსენებებით სამშობლო ეკლესიის თავისუფლების საკითხს, ებრძოდა სამშობლოს მტრებს და სამაგიეროდ, განიცდიდა **ჭირთა ქალაქთა შინა და უდაბნოთა ზედა, ნათესავთაგან და ძმათა მტყუართაგან** (2 კორ. 11, 26)..

სწორედ ამ ჭირთა განცდისათვის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ღვაწლით შემოსისათვის, ყოფილნი შენნი მოწაფენი, ძვირფასო მასწავლებელო, შემოვკრებილვართ ჯერ კიდევ გაუცივებელის შენის გვამის გარშემო, დაგტირით თავსა და მადლიერის გულის სიღრმითგან ლოცვას აღვავლენთ ყოველთა მოძღვრისა და მასწავლებლის წინაშე: განუსვენე, ქრისტე მაცხოვარ, მონასა შენსა და მოძღვარსა ჩვენსა თეოდორეს და შეუნდე ამას ყოველნივე შეცოდებანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი. ამინ.

დეკ. კ. ცინცაძე.

დავეხმაროთ სემინარიელებს!

დღეს 2 გიორგობისთვეს თბ. საარტისტო საზოგადოებ ს დარბაზში თბ. სასულიერო სემინარიის ღარიბეს მოწაფეთა სასარგებლოთ იმართება წარმოდგენა რუსულ ენაზე. წარმოდგენილ იქმნება ცნობილი პიესა ჩვენის თეატრის მშვენებისა ალ. სუმბათაშვილისა „ღალატი“, საუკეთესო ძალების მონაწილეობით. სემინარიელთა გასაჭირი ენით აუწერელია. მათი ნივთიერი მდგომარეობა ომამდის კიდევ რამეს ჰგავნდა, რადგან პანსიონში შეფარებულნი მაინც იყვნენ. ამ ჟამად პანსიონის დახურვის შემდეგ აგერ ორი წელიწადია დაქსაქსულ არიან ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში და არავინ იცის, თუ რა ნივთიერ გაჭირებას განიცდიან. საილუსტრაციოთ მოგვყავს ოფიციალ მოხსენებიდან მათი უმწერვალეს ზომამდე მისული ნივთიერი გასაჭირი. ეს მოხსენება სემინარიის გამგეობამ წარუდგინა საქართველოს ეგზარხოსს და მოყვანილი ცნობები ცხად ჰყოფს ნათქვამს: „414 ქართველ მოწაფიდან, რომელიც ითვლება მთელ სემინარიაში, რიგიანად ცხოვრობს მხოლოდ 84 მოწაფე, ე. ი. 22%. დანარჩენ 330 მოწაფეთ, ე. ი. 78% ესაჭიროებათ სრული ან ნაწილ-ნაწილი დახმარება. სრულებით არა აქვთ ბინა და ამხანაგებთან თავს აფარებენ, რომ ცის ქვეშ არ დარჩენ 15 მოწაფე, ე. ი. 4%. სცხოვრობს სრულიად უვარგის ბინაზე 71 მოწაფე, ე. ი. 18%. ეს ბინები წარმოადგენს სარდაფებს, უფანჯროთ გალერეიებს, სამზარეულოებს, ქალაქ გარედ და სახლის სახურავ ქვეშ, სადაც ფხოტით ადიან ფიცრებზე. ეს ბინები, რასაკვირველია, არა თბება, ნესტიანია, ქვისა ან მიწის იატაკით და საწოლების უქონლობის გამო პირდაპირ იატაკზე სძინავთ—მათი ტანთსაცმელი არა ნაკლებ ამ ბინებზე უარეს მდგომარეობაშია: 414 კაციდან პალტო 31 მოწაფესა აქვს, მხოლოდ დანარჩენი ათას გვარ ავადმყოფობისაგან, ამ სიცივეში, უზრუნველყოფილნი არ არიან. 180 მოწაფეს გარდა ხალათისა არა აბადია-რა. ფეხსაცმელის უქონლობა მეტადრე ამ სიძვირეში საერთო სენს შეადგენს და ვისაც აბადია, ისიც დაკონკებული. სრულიად არ მოეძებნება ფეხსაცმელი 21% ამ მოწაფეთაგან და დაიარებიან ჩუსტებში. ამ საზარელ სურათს აგვირგვინებს მათი საკვები საკითხი. უმრავლესობა ჩაიზე და პურზე გადადის და იშვიათად, თუ ბედი გაუღიმებს, სადმე სახაზები კვირაში ერთხელ თბილ კერძს შესჭამს. საგრძნობ რიცხვს წარმოადგენს ისეთი მოწაფენიც, რომელნიც სრულიად უპუროდა სხედან მთელი დღეობით. ამნაირ დამშეულ მოწაფეთა რიცხვი 113 კაცს უდრის ე. ი. მთელ მოწაფეთა რიცხვის მესამედი.

ამ გაჭირებას უკვე თავისი დაღი დაუსვას, სემინარიის გამგეობის სიტყვით, მოწაფეებზე. სემინარიის ექიმის შემოწმებით 33 მოწაფე დაავადებული უკვე გაუსტუმრებიათ სახლში. დანარჩენ მოწაფეებიდან საკმაო პროცენტი უკვე გულაცრუებულია სწავლაზე „პური ჩვენი არსობისას“ ტიებაში და დღე და ღამე ფურნეებთან და დუქნებთან ყარაულობენ საათობით. სემინარიის ეკონომს განზრახვა ჰქონდა დახმარებოდა მათ ბითუმად პურის და ჩაი-შაქრის სყიდვაში, მაგრამ უარი უთხრეს ყველგან, ვინაიდან ბითუმად ვაძლევთ იმ სასწავლებლებს, სადაც, პანსიონები არისო და თქვენ კი პანსიონი არა გაქვთო“...

ამ სურათს დაფერადება ვგონებ არა სჭირია. „ვისაც ასხან ყური სმენად, ისმინონ“... ჩვენ დაუმატებთ: ვისაც გული საგულეში აქვს, „არა უგულებელ ჰყონ“ მათი გასაჭირი და დღევანდელ წარმოდგენაზე დასწრებით მაინც დეეხმარონ ტვირთ-მძიმე სემინარიელებს!..

დ. პ.

ქალაქის საბჭო

31 ღვინობისთვე.

კრება დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 ნახ. საათზე.

ხმ. ალადაშვილი. იცის თუ არა გამგეობამ, რომ სამეურნეო განყოფილება შეშას არ აძლევს ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებას, რის გამო ეს უკანასკნელნი, განსაკუთრებით-კი საქალაქო სკოლები, დიდს გასაჭირს განიცდიან, და თუ იცის, რა ღონისძიებას აპირობს ამ უწესრიგობის წინააღმდეგ? ამ ჟამად სკოლების უშეშოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელია მით უფრო, რომ ისინი თითონ ვერ იყიდიან შეშას, რადგან შეშის ნირხი სხვა არის, ხოლო ნამდვილი ფასი სულ სხვა და დახარჯული ფულის რაოდენობას ვერავინ აღუდგენს მათ.

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** დღეს ბევრი საგულისხმიერო საკითხი გვაქვს განსახილველი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვინემ თქვენი შეკითხვის საგანია. მაგალითად, დღეს უნდა განვიხილოთ ქალაქის მთელი სასურსათო საქმე, მაშინ როდესაც თქვენი შეკითხვა ეხება ქალაქის მეურნეობის მხოლოდ ერთს დარგს. ამიტომ დღეს დროს ნუ დავკარგავთ თქვენი შეკითხვის გამო და პასუხს შემდეგ კრებაზე მოგცემთ.

ხმოსანი დაეთანხმა თავმჯდომარეს.

გამგეობის წევრმა **ათაბეგოვმა** მოხსენება წაიკითხა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე არსებულ აუდიტორიის საფუძვლიანად შეკეთების თაობაზე. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ამ შენობის შესაკეთებლად გადადებული ყოფილა 600 მანეთი, მაგრამ ზედმეტი დახარჯულა 772 მანეთი. სათანადო კომისიას ნამუშევარი დაუთვალიერებია და დახარჯული ფული კანონიერად უცვნია.

საბჭომ უკამათოდ დაამტკიცა ხარჯი.

საგანგებო კომისიის მინდობილობით, რომელსაც დავალებული აქვს წყლით უზრუნველჰყოს თბილისი, არ. ს. ბაბოვმა მოხსენება წაიკითხა 55 ათასი მანეთის გადადების საჭიროების შესახებ. მთავარი აზრი მოხსენებისა ასეთია: არსებული წყალსადენის წყალი თბილისს არ ჰყოფნის. ამიტომ აღნიშნული კომისია წყაროებს დაეძებს თბილისში გამოსაყვანად სხვადა სხვა ადგილას, მაგალითად, წალკაში, ნატახტარში, მუხრანში, ბულაჩაურში და სხ., მაგრამ ეს კვლევა-ძიება და წინასწარი მუშაობა ხარჯებს თხოულობს. წინად საბჭოს გადაუდვია 25 ათასი მანეთი მხოლოდ წალკის წყაროების გამოსარკვევად, მაგრამ რადგან წყალი სხვა ადგილებშიაც დარჩა გამოსარკვევი, მაგალითად, მუხრანსა და ბულაჩაურში, ამ ზედმეტ საქმეს სჭირდება 40 ათასი მანეთი. გარდა ამისა რადგან ახალი არხის გამოყვანა ადრე არ მოხერხდება, ხოლო ზედმეტი წყალი-კი ეხლავეა საჭირო, ავჭალაში არსებული წყალსადენის ძალა უნდა გადიდდეს, რაიცა 15 ათას მანეთს თხოულობს. ამ რიგად მოხსენების ავტორნი ეხლავე სთხოვენ საბჭოს 55 ათას მანეთის გადადებას მოხსენება შეწყნარებულ იქმნა.

ქალაქის მოურავმა **ა. ი. ხატისოვმა** ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქალაქის სასურსათო გაუმჯობესების შესახებ, რომელიც გამოუწვევია მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის ბ-ნ პროტასიევის მიერ მოხდენილ რევიზიას.

რევიზიის დასკვნანი ჩვენ რამდენადმე უკვე ვიცით. ბ-ნი პროტასიევი რევიზიის დამთავრების შემდეგ იმ აზრს დასდგომია, რომ ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას ისეთი დანაშაულობა არა მიუძღვის-რა, რომელსაც სისხლის სამართლის ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ მრავალ მხრივ და მრავალჯერ დაურღვევია წესრიგი. დანაშაულობათ უმეტეს ნაწილად ფორმალური ხასიათი აქვს, მაგრამ ეს დანაშაულობანი იმდენად მნიშვნელოვანი არიან, რომ ქალაქის გამგეობა უთუოდ უნდა ეცადოს თავიდან აიშოროს. ბ-ნ პროტასიევს სასურსათო საქმის გამოკეთებისათვის საჭიროდ მიაჩნია, რომ ქალაქის გამგეობის მოქმედება ამ სფეროში დაფარული და საიდუმლოებით მოცული კი არ იყვეს, როგორც აქამდისინ ხდებოდა, არამედ ნათელი და ყველასათვის ცხადი. სასურსათო განყოფილების ყოველივე ნაბიჯი, შეეხება ეს საქონლის ყიდვას, ვაგონების მიღებას, „ნარიადების“ გაცემას, სურსათის განაწილებას თუ სხ., უთუოდ უნდა აღინიშნებოდეს ხოლმე ჟურნალში. სასურსათო თათბირის ნებადაურთველად, ყოველ შემთხვევაში, მის დაუკითხავად, გამგეობამ სურსათის შესახებ ნაბიჯი არ უნდა გადასდგას. ბ-ნ პროტასიევის გამოძიების ის ნაწილი, რომელშიაც აღნუსხულია სასურსათო განყოფილების დანაშაულობა, 18 მუხლისაგან შესდგება. მ. ა. ჯაბარის, როგორც სასურსათო განყოფილების გამგისა და ხელმძღვანელის, პასუხია დაბეჭდილი თითოეულ საბრალმდებლო მუხლის შესახებ. ბ-ნი ხატისოვი დაწვრილებით უმარტავდა კრებას როგორც პროტასიევის გამოძიების მუხლებს, აგრეთვე ჯაბარის პასუხსაც. ბ-ნმა ხატისოვმა, საბჭოს წინანდელ კრებაზე ხმოსან ევანგულოვის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად, კრებას ისიც ამცნო, რომ ჯაბარმა სასურსათო საქმეების ხელმძღვანელობის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება შემოიტანა, მაგრამ, გამგეობის თხოვნით, თავისი განცხადება უკანვე წაიღოვო. დასასრულ, თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ბ-ნ ჯაბარის მიერ შემუშავებული და გამგეობის მიერ მოწონებული პროექტი სასურსათო ორგანიზაციის გაუმჯობესებისა. პროექტის შინაარსი ასეთია:

1) ქალაქის სასურსათო ოპერაციების საწარმოებლად საბჭომ აირჩიოს 5—7 ხმოსნისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომისია, რომელსაც თავმჯდომარედ ეყოლება გამგეობის წევრი. 2) მიენდოს ამ კომისიას შეიმუშაოს თავისთვის ინსტრუქცია, რომელშიაც გამორკვეული უნდა იყვეს კომისიის მოქმედების გეგმა, რამდენადაც ეს შეეხება სურსათ-სანოვაგის შეძენას და საანგარიშო წიგნების წარმოებას, და ეს ინსტრუქცია წარმოუდგინოს მან დასამტკიცებლად საბჭოს. 3) ვინაიდან სასურსათო საქმის შეჩერება შეუძლებელია, ამიტომ სანამ აღნიშნულ ინსტრუქციას საბჭო დაამტკიცებდეს, კომისიამ განაგრძოს სასურსათო საქმის წარმოება და უპირველესად ყოვლისა იხმაროს ღონისძიება, რომ რევიზიისაგან ნაჩვენები დეფექტები თავიდან აშორებულ იქმნას და სხვა.

თავმჯდომარემ ამასთანავე წაიკითხა კოოპერატივთა კავშირის შუამდგომლობა, რომ კოოპერატივების მხრივ 4 კაცს ნება ჰქონდეს სასურსათო კომისიაში მონაწილეობის მიღებისა. ამ შუამდგომლობის შესახებ გამგეობას არსებითად თანხმობა გამოუცხადებია.

სარევიზიო აქტების წაკითხვამ და საერთოდ მთელმა მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ხმოსნები ჯგუფებად დაიყვნენ და სხვა და სხვა აზრი გამოსთქვეს.

ხმ. ვესელოვზოროვს ძალიან ახარებს რევიზიის დასკვნანი, რადგან, მისის აზრით, წეს-რიგის რამდენსამე ფორმის დარღვევა, რომელიც გამოძიებაშია აღნიშნული, დანაშაულობას არ წარმოადგენს და ამ რიგად ქალაქის თვითმართველობის ცილის მწამებლებმა მიზანს ვერ მიაღწიეს.

ხმ. ხატისოვი თხოულობს, რომ გამოაშკარავებულ იქმნან ცილის მწამებელნი და სამართალში მიეცნენ, რათა ქალაქის თვითმართველობის სახელის გატეხა შემდეგ ვეღარავინ გაბედოს.

ხმ. ი. მ. დოლუხანოვი ქალაქის თვითმართველობისათვის სავალდებულოდ არა სცნობს პროტასიევის რჩევა-დარიგების შესრულებას, რადგან, ორატორის აზრით, იმის შესრულება ზარალს მოუტანს სასურსათო საქმეს.

ხმ. კავალენსკი იმ აზრის არის, რომ გამოძიებამ ბევრი ნაკლი აღმოაჩინა სასურსათო ოპერაციების წარმოებაში და ქალაქის საბჭო ვალდებულია ანგარიში გაუწიოს აღნუსხულ ნაკლს. აღმასრულებელ კომისიის არჩევის შესახებ ზოგიერთი ხმოსნები, მაგალითად:

რამიშვილი და ერზიკიანი, იმ აზრისანი არიან, რომ ეს კომისია დამოუკიდებელი იყოს და გამგეობას არ ექვემდებარებოდეს. ზოგნი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ამ კომისიის წევრებს ჯამაგირი მიეცეს და ზოგნიც ამ წინადადების წინააღმდეგნი არიან. ზოგნი კიდევ ამტკიცებენ, რომ კომისიის არჩევა ჯერ საჭირო არ არის, ასეთ კომისიის ფუნქციების შესახებ პროექტის შემუშავება ანუ სასურსათო და ან სარევიზიო კომისიას მივანდოთო, მაგრამ ზოგიერთნი ამტკიცებდნენ ასეთი პროექტის შესამუშავებლად ახალი საგანგებო კომისია ავირჩიოთო.

ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა არჩეულ იქმნას საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალოს შედგენა პროექტისა აღმასრულებელ კომისიის არჩევის შესახებ. პროექტში აღნიშნულ უნდა იქმნეს: რამდენ კაცისაგან შესდგებოდეს ეს კომისია; ვინ უნდა შედიოდეს კომისიაში წევრებად; სასყიდელი დაენიშნოსთ კომისიის წევრებს, თუ არა; მოვალეობა კომისიისა; რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ კომისიას გამგეობასთან. კომისიაში წევრებად არჩეულ იქმნენ ხმოსნები: კავალენსკი, რამიშვილი, ბაბოვი, ათაბეგოვი, ხუნუნცი, წვერავა, მარტიროსიანცი, ი. პ. დოლუხანოვი, ბერბერიანი და ვესელოვზოროვი.

„ობლად შთენილნი“

თითქმის ყველა სასწავლებლებთან არსებობენ სხვა და სხვა მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებანი, შემწეთა წრეები, სამზრუნველო საბჭოები და სხვანი, რომელნიც ყოველგვარ დახმარებას უწევენ ხელმოკლე და გაჭირვებულ მოსწავლე ახალგაზრდობას, – თითქმის არცერთია სასწავლებელი, საზოგადოების ყურადღებას და მზრუნველობას რომ იყოს მოკლებული. უკანასკნელთა წყალობით სასწავლებლის გარშემო და მოწაფეთა ცხოვრებაში იქმნება იმისთანა ატმოსფერა და პირობები, რომლებშიაც ნორჩს ახალგაზრდობას შეძლება ეძლევა გაჭირვებისგან დაჩაგვრას თავი დააღწიონ და თავისუფლად შეუდგნენ თავისს პირდაპირ მოვალეობას.

ამ მხრით მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება თბილისის სასულიერო სემინარია, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს და რომლის ნამოწაფარნიც „ფენიქსებური“ ძალებით იღვწიან ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. დღეს აი ამ სასწავლებლის მოწაფენი დარჩნენ „ობლად შთენილნი“, საზოგადოების ყურადღებას და მზრუნველობას თითქმის სრულიად მოკლებულნი და მისგან მივიწყებულნი. საერთოდ იგინი არას დროს ყოფილან ბედისაგან განებივრებულნი; მძიმე, მუყაითი და შეუპოვარი შრომა —პირდაპირი წილხვედრია მათი მოწაფური ცხოვრებისა. და არც როდისმე სემინარიელები გაიყურებოდნენ სხვა მხრისკენ და ითხოვდნენ იქიდან შველას. მუდამ საკუთარს ძალაზე დაყრდნობილნი, იგინი ჩუმად და მტკიცედ „ვიდოდნენ გზასა თვისსა“. და სწორედ აი ამ დუხჭირ პირობებში იკვეთებოდა და იკვეთება მათი ძლიერი, თითქმის შეუდრეკელი ნების-ყოფა, სიცოცხლის ენერგია და ცხოვრების ჟინი. და ყველანი აღიარებენ, რომ ისინი ამ ღირსებით არიან შემკულნი.

და არც დღეს შეაწუხებდნენ იგინი სხვას დახმარების თხოვნით. მაგრამ უმაგალითო პირობებმა უმაგალითო გაჭირვებაში ჩააყენა იგინი. საერთო გაჭირვებასთან ერთად დღევანდელს აუტანელს პირობებში, მათ სხვა უბედურებაც დაატყდათ თავზე. ომის საჭიროებისათვის მათ ჩამოაცალეს საკუთარ სასწავლებლის შენობა, სადაც მათთვის პანსიონი იყო გამართული და იქ ჰპოვებდნენ იგინი თავშესაფარს. დღეს კი სემინარიელები თითქმის ქუჩის ანაბარად დარჩნენ. და ადვილი წარმოსადგენია მათი გაჭირვების ხასიათი, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი მოწაფეთა შემადგენლობა უღარიბეს ნაწილს ეკუთვნის, რომელთა 99% სოფლის გლეხის, მედავითნის და მღვდლის შვილებია. „შეუბრალებელ“ ქალაქურ ცხოვრებაში მომწყვდეულნი და ყოველსავე ნივთიერ სახსარს და დახმარებას მოკლებულნი, იგინი აუტანელ პირობებში ჩაცვივდნენ. ბინის და სანოვაგის საკითხები მათთვის პირდაპირ დამსჯელ ფაქტორებად გადაიქცნენ. და იგინიც უდროვოდ სნეულდებიან ფიზიკურად და სულიერადაც.

სემინარიელების უმრავლესობას ესაჭიროება ყოველგვარი დახმარება. საზოგადოება მოვალეა ეს დახმარება აღმოუჩინოს სემინარიელებს. უკანასკნელნი არ არიან უსარგებლო წევრნი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა. მათ საკმაო, თუ მეტი არა, ღვაწლი მიუძღვისთ ჩვენს კულტურულ წინმსვლელობაში.

ოთხშაბათს, ორ გიორგობისთვეს, მათ დასახმარებლად არტისტიულ საზოგადოების თეატრში დანიშნულია წარმოდგენა — „ღალატი“ — რუსულ ენაზე. სრული იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება, მუდამ მგრძნობიარე და დამხმარე გაჭირვებულთა, თავის მშობლიურ მზრუნველობას არ მოაკლებს სემინარიელებსაც—ამ „ობლად შთენილთაც“.

ბ.

მცირე განმარტება

მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე ბ. ლეონ მელიქსეტბეგოვმა წაიკითხა რეფერატი და გამოსთქვა მოსაზრება, რომ ძველი წიწამური (სტრაბონის „სევსამორა“) იქ არ უნდა ყოფილიყოს, სადაც ეხლა პატარა სოფელი წიწამური არისო, ზედაზნის მთის ძირში, არაგვის მარცხენა ნაპირზე, არამედ მარჯვენა ნაპირზე არაგვის სამთავროს ეკლესიის და ბებრის ციხის შუაო. აქვე შეეხო სიტყვა წიწამურის მნიშვნელობას.

ამის შესახებ ჩვენ ჩვენი მოსაზრება მოგვყავს. როგორც მოწმობენ, ძველი წიწამურის ქალაქი ყოფილა ამართული მიუვალ მთაზე. ეხლაც იმერეთსა და რაჭაში მიუვალ მთის გვერდობს „ცაცაბოს“ უძახიან. „ისეთი ციცაბოა, რომ კატა ჰვანგს (ბრჭყალებს) ვერ მოიკიდებსო“, ხშირად გაიგონებს

კაცი იმერელ გლეხისაგან. თუ ციცაბოზე არავითარი მცენარეა, არც ქვები და ძლიერ დაკიდებულია, მაშინ იტყვიან: „უჰ, რა მოწრიაპებული ციცაბოა"-ო, ან და მოკლეთ: „უჰ, რა წრიაპია"-ო. ასე რომ; მოწმენდილ ციცაბოს „წრიაპს" უძახიან. თუ მთის ყველა გვერდობი ცოტათ თუ ბევრათ წარმოადგენენ დაკიდებულ მოწმენდილ ციცაბოებს ანუ წრიაპებს, იმისთანა მთას „წიწამურს" უწოდებენ. თუ ძველი ციხე-ქალაქი „წიწამური" აგებული იყო მიუვალ მთაზე, მაშინ აუცილებლად ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მან თვისი სახელი „წიწამური" მიიღო იქიდან, რომ ის აგებული იყო „წიწამურ" მთაზე.

ჟერმოგენ ბრეგვაძე.

ქართლი

სოფელს შველა სჭირია.

მსოფლიო ომმა ყველაზედ ცუდს და აუტანელს მდგომარეობაში ჩააგდო სოფელი. ყველას ჰყავს პატრონ-მზრუნველი, მხოლოთ სოფელს არა, იმ სოფელს, რომელიც დღევანდლამდე და დღესაც კი ასაზრდოებს ქალაქ-დაბებს. ქალაქ-დაბებს ჰყავთ თავიანთ ამორჩეული მამები, რომლებიც ასე თუ ისე ზრუნავენ მცხოვრებთათვის: იწერენ პურს, სიმინდს, შაქარს, ბრინჯს, ნავთს და სხვ. სოფლისთვის ვინღა ზრუნავს? არავინ. ქალაქს სოფლისთვის არა სცალიან, იგი თავის საკუთარ საქმეებსაც ვერ გასძღოლია. თუმცა კი ქალაქი ზნეობრივათ მოვალეა გაუწოდოს საშველათ ხელი თავის მარჩენალ სოფელს ამ გაჭირვებულს დროს და მით მოიხადოს ვალი სოფლის წინაშე. მაგრამ სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია, რომ ქალაქმა ამ მოულოდნელათ შექმნილ აუტანელ დროს თავის მარჩენელს სოფელს უშველოს, ეს პირდაპირ მისს წმინდა მოვალეობას შეადგენს. სოფელი არ თხოულობს მოწყალებას, — მხოლოთ დახმარებას სასყიდლით.

სოფელი დიდ იმედებს ამყარებდა ამ გაჭირვებულ დროს შემნახველ-გამსესხებელ და მომხმარებელ ამხანაგობებზედ, მაგრამ ამ უკანასკნელთ, ზოგიერთის გამონაკლისით, როგორც მაგალითად თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, რომლის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ლუკაშვილია, აუარებელ სასურსათო საგნებს და სხვ. აწვდის თავის წევრთ და არა წევრთ, ვერ გაუმართლეს სოფელს იმედები. ამხანაგობების მიერ ამორჩეულნი პირნი გამგეობაში ძალიან ნაკლებ ზრუნავენ ჭირნახულის შემოტანისთვის, რაც უფრო დროის შესაფერს დახმარებას შეადგენს სოფლისათვის. სოფლის შემნახველ-გამსესხებელ და მომხმარებელ გამგეობის წევრნი მოვალენი არიან თუ თვითეულს მათგანს ცალ-ცალკე ძალა და უნარი არ შესწევთ, შეთანხმდნენ გორის კოოპერატივთან და შეერთებულის ძალით გამოიწერონ რუსეთიდგან პური და ჩრდილო კავკასიიდგან სიმინდი თავიანთ წევრთა და არა წევრთათვის; თორემ ისედაც გაძვალტყავებული გლეხი ჩავარდება ვინმე ჩარჩ-ბაყაყის ხელში, რომელიც არ დასჯერდება გლეხის ორმაგ-ტყავის გაძრობას, რადგანაც გლეხობამ მის ვაჭრობას ულალატა და დაიარსა თავისთვის მომხმარებელი საზოგადოება, — მხსნელი ჩარჩ-ბაყაყების კლანჭებიდგან. ამასთანავე შეიძლება გლეხობამ ეჭვის თვალით შეხედოს სოფლის ბანკების და მომხმარებელი საზოგადოების მოქმედებას, მით უმეტეს, რომ კერძო ვაჭრები გლეხებს ეუბნებიან, როცა ეს უკანასკნელნი მიჰმართავენ ვაჭარს-მედუქნეს რისთვისმე: აი თქვენი ბანკი და დუქანი, წადით, იმათ გიშველონ და სხვ." ამის შემდეგ გლეხი სასოწარკვეთილებას ეძლევა და არ იცის, რა გზით გამოვიდეს ამ მისთვის გამოურკვეველ მდგომარეობისაგან. ამისათვის გამგეობის წევრნი ზემოხსენებულ საზოგადო დაწესებულებისა ამ გარემოებას უნდა უწევდნენ ანგარიშს და ძალიან ფხიზლად მოქმედობდნენ, რათა ხალხი დააკმაყოფილონ, რამდენადაც ეს მოსახერხებელი და შესაძლებელი იქნება მათთვის.

ამ ჟამად სოფლად კოდი პური (კოდი 4 ფუთია) 18—20 მანეთი ფასობს და სიმინდი 10—12 მან. და შოვნაც არ არის. ხალხი შიმშობს, — რით დაირჩინოს თავი. ზოგს სრულებით მისვლა-მოსვლის თავიც არა აქვს სიბერე-ავანტყოფობის გამო, რომ თითო-ოროოლა ჩანახი სიმინდი იყიდოს, რათა უღვთოდ სული არ ამოხდეს ამ პურ-ღვინის სიძვირის დროს.

ჭირნახულის და ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. საგაისოთ ხომ სულ არაფერს სანუგეშოს არ უნდა მოველოდეთ, რადგანაც ნახნავ ნათესი ძალიან ნაკლებათ არის, და ვენახების დამუშავება ხომ სულ საეჭვოა, რადგანაც მუშა ხელი თითქმის აღარ მოიპოვება სოფლად.

ამ გარემოებას ქართველმა საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ანგარიში უნდა გაუწიოს და ახლავე შეუდგეს ცდას უმწეო მდგომარეობისაგან დაიხსნას.

სიმართლე.

ქართველ მუსლიმანებს მიხედოთ

I

„ნუთუ არ გაგვიღია შენთვის გული და არ აგვირთმევია ტვირთი, რომელიც მხრებზედა გემძიმებოდა? ნუთუ არ ავგიწევია მაღლა შენი სახელი? ხოლო უკუღმართობასთან ბედნიერებაცაა.. დიახ, უკუღმართობასთან ბედნიერებაცაა".

ყურანი მუჰამედისა.

„შორიდან მტერს ვუყენებთ თვალებს და ახლოდან მოყვარეს,—ეს ჩვენ ვართ, ქართველები. ერთი შეხედვით დიდ ფართი ფურთში ვართ, ბევრს ვყვირით, მაგრამ ნაკლებს ვაკეთებთ. ყოველ შემთხვევაში, ქართველთა ჩვეულებრივი უნარ-საქმიანობა აჭარელთა საკითხში თითქოს დავძლიეთ, თითქოს ჩატეხილი ხიდი კვლავ აღვადგინეთ, მაგრამ გასაკეთებელი რომ კიდევ ბევრია, ეგ ცხადია. ყინვისაგან დამძრალისათვის ბურბუშელას ცეცხლიც კარგია, მაგრამ როცა ცეცხლი ჩაიფერფლება, დამძრალი კიდევ უარეს სიცივეს იგრძნობს; ეს რომ ასე არ მოხდეს, უნდა ვეცადოთ და ბურბუშელას მაგივრად მუხის კუნძი ავაგიზგიზოთ.

აჭარელთა მწარე ხვედრს ლაზებიც მოემატა. ლაზისტანი აჭარაზე მეტად დაზარალდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველთ შორის ლაზებს საუკეთესო ადგილი უკავია. მათ შორის გავრცელებულია: ხელოსნობა, ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, საზღვარზე წასვლა, მენავეობა, პირიანი ვაჭრობის უნარი. ხალხი მკვირცხლი, დარბაისელი, სტუმართ მოყვარე, ნიჭიერი, ლამაზი, ტურფაა თვით მხარე მათი, მდიდარია და ლამაზი ბუნებით. ქართველ ტომთა შორის პირველმა ლაზებმა დასძლიეს კარჩაკეტილობა, პირველათ ლაზები მოშორდნენ თავიანთ ქვეყანას და საზღვარზე იწყეს გასვლა. შავი ზღვის პირა ადგილებში ამ 40—50 წლის წინად პირველად ლაზებმა გაავრცელეს ევროპიული გემოვნების სახლები, ეგრეთ წოდებული, ოდები. დიახ, ლაზები იყვნენ პირველი „უსტები" (უსტა—ოსტატი), როგორც ხისა, ისე რკინისა. შავი ზღვის ნაპირა ქალაქებში და შუაგულ რუსეთშიაც ძლიერ ბევრი ლაზი მისდევდა ვაჭრობას და ხელოსნობას, ბევრი ლაზი იყო მეფურნეთაც. სხვაგან არ ვიცი, და გურიაში კი ვაჭრობის, მეტადრე მეფართლეობის, პიონერები ლაზები იყვნენ, გურიამ სხვა ტომის ვაჭარი ვერც იგუა. ერთად-ერთი ლაზები იყვნენ, გურიამ რომ ითვისა—გაითვისიანა. სადგურ სუფსაზე ათიოდე მოსახლე იყო, ლაზი რომლებიც ამ მათთვის ახალი ქვეყნის ჭირსა და ლხინს სავსებით იზიარებდნენ. მართალია, ლაზი გარეთ გასული ხალხია, მაგრამ არ ეხერხება ცოლშვილი სხვაგან წაიყვანოს. იშვიათათ მიდის ლაზი გარეთ ცოლშვილიანათ, მიდის, მაგრამ გარეთ მონაგარს თავის ოჯახის გამდიდრებას ახმარს. და აი სწორეთ ამით დარჩა ლაზი აჭარელზე უბედური. აჭარელი თავის ცოლშვილთან დარჩა და ომის უბედურება ოჯახის წევრებმა ერთად განიცადეს, შინ თუ გარეთ ერთად იყვნენ. ლაზი კი იქ შეიპყრეს, საცა ომის გამოცხადების დღეს დარჩა, შეიპყრეს და ცივსა და სუსხიან მხარეში გაისტუმრეს, როგორც სამხედრო ტყვე. მოვაჭრე ლაზები ათი-ათასობით ისე დააპატიმრეს, რომ ვერც კი მოასწრეს საქმის მოწესრიგება, ბევრმა კი ათასის საღირალი ასათ მიჰყიდ მოჰყიდა...

ომის ქარ-ცეცხლმა ლაზისტანი ააოხრა, გაანადგურა. წარმოიდგინეთ უმწეოთ, უჭირისუფლოთ, უმამაკაცოთ დარჩენილ ქალების მდგომარეობა! საშინელებაა! წვრილ-შვილ ქალს უბედურების დროს თან არ ჰყავს თავისი ოჯახის უფროსი და არც კი იცის, თუ სად არის ის და რა მდგომარეობაშია. ასევე, არც ოჯახის უფროსმა იცის, თუ რა მოუვიდა მის ცოლშვილს, მის ოჯახს.

დღემდე ლაზების „სამხედრო ტყვეობას" კიდევ ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დღეს, როცა ლაზისტანი რუსების ხელშია, რაღა საშიშროებას წარმოადგენს ლაზი, თავის განადგურებულ ოჯახს რომ დაუბრუნდეს. ეყოფა ლაზს ოჯახის აწიოკება და ორ წელზე მეტი ტყვეობა. დიახ, ეყოფა, და ჩვენც, ყველამ, ჩვენმა დეპუტატებმა, ქართულმა კულტურულმა საზოგადოებამ და ვისაც კი რაიმე გავლენა აქვს, ყველამ ხმა უნდა აღიმაღლოს, საცდელი არავითარი დაზოგოს და მოითხოვოს ტყვე ლაზების უკან დაბრუნება. მერწმუნეთ, ლაზების ყველაზე უპრიანი დახმარება ეს იქნება. მიეცით ლაზს საშუალება იშრომოს და მერწმუნეთ, ის არც კი ინანებს თქვენს ქველმოქმედებას; თავისუფალი ლაზი, მოხერხებული და შრომის მოყვარული, თვით შესძლებს ცოლშვილი მშიერი არ მოჰკლას, თვით შესძლებს დანგრეული ქვეყანა კვლავ ააყვაოს. უჩვენეთ მტირალ ცოლშვილს მამა, უჩვენეთ იმედდაკარგულ მშობელ მამას მისი ცოლშვილი. ამაზე უკეთეს საქმეს ჩვენი საზოგადოება ვერას შესძლებს. ეს ყველაზე მეტად გაამტკიცებს ჩვენ შორის ერთობას. ტყვე ლაზებმა დღეს კარგად იციან, თუ ვინ ზრუნავს მათთვის, და როცა ისინი სახლში დაბრუნდებიან, ჩვენს ამაგს ერთი ასად გადასცემენ სხვებს. ლაზების დაბრუნება ყველაზე მეტად ევალება ჩვენს დეპუტატებს, მაგრამ მათ (დეპუტატებს) ხელი ყველამ უნდა შევუწყოთ. ლაზებს თუ თავიანთ ქვეყანაში არ დააბრუნებენ, მაშინ უნდა ვეცადოთ ისინი დააბრუნონ მაინც იქ, საცა წინად ცხოვრობდნენ. მაგალითად, განა არ მოხერხდება სუფსელი (გურიაში) ლაზები, დღეს რუსეთში გადასახლებულები, ისევ სუფსაში, მთავრობის მზედველობის ქვეშ, დააბრუნონ. შეიძლება, თუ ვეცდებით.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება)

P. S. ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა ერთმა ოზურგეთში მყოფმა „გაგურულებულმა" ლაზმა შემდეგი შემომჩივლა: ლაზების ეხლანდელი მდგომარეობა წარმოუდგენელია. გაოხრებულ ოჯახებში მარტო ქალები და მოხუცებულებია, არ აქვთ მარილი, საპონი, ფეხშიშველნი დაიარებიან; თვით ლაზებს ნებას არ აძლევენ თავისი სოფელი დატოვონ და სხვა ადგილიდან ოჯახისათვის აუცილებელი სურსათ-სანოვაგე იყიდონ და მიიტანონ. ამით უხვათოთ სარგებლობენ ჩარჩი ბერძნები და სომხები; თუ მიიტანეს რამე გასაყიდი, ერთი-ასათ ჰყიდიან. გვითხრე, ჰოე, ქართველებს, მისცენ ლაზებს ნება სოფლიდან გასვლის და სხვა ადგილიდან აუცილებელი ნივთის შეძენის, არა გასაყიდათ, არა საჩარჩოთ, არამედ „ქალბატონიზა". მე მზათ მაქვს ჩემიანებს გაუგზავნო: მარილი, საპონი, „შაქერი", წუღები (ჩუსტები), მაგრამ ჩემ ძმას ნება არ მისცეს, მოვიდეს და წაიღოს; ვეხვეწები ვინმე გურულს, გამეგზავნოს... გვიშველეთ, მოგვეცით განძრევის ნება და მერე ჩვენ თვით სხვებს დავეხმარებით. (ეს მწარე სიტყვები ეკუთვნის ოზურგელ ვაჭარს მუსტაფა ოსმან-ოღლი-ხუციშვილს სამხედრო ტყვეობიდან დაბრუნებულს). **ისმინეთ და ყურად იღეთ.** **ა. წ.**

კიდევ ქისტების თარეში ფშავ-ხევსურეთში

არ იქნა და ვერაფერი ეშველა ქისტების თავდასხმას და ფშავ-ხევსურეთიდან საქონლის გატაცებას. ყოველ ზაფხულს ერთი და იგივე უბედურება ესმის კაცს: საქონლის გატაცება, კაცების დახოცა-დაჭრა, სროლა, ცარცვა-გლეჯა და, ერთის სიტყვით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მდგომარეობა უარესდება. ადგილობრივი ადმინისტრაცია კი არა და საგუბერნიოც კი სუსტობს ამ შემთხვევაში. მთავრობამ კარგათ იცის, რომ ყოველ ზაფხულს ეს უბედურება ხდება და დღითი-დღე უარესდება, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევისთვის კი არა სჩანს ზომები, რომ მოსპოს ეს მტაცებლობა და ყაჩაღობა. ხალხსაც არა აქვს იმოდენა ნება მიცემული, რომ თვითონ მაინც გაუმკლავდეს და დაიცვას თავისი თავი და საქონელი.

26 ენკენისთვეს ქისტებმა გაიტაცეს ფშაველების ს. ხოშარიდან და მათურიდან რვა ხარი, 14 ძროხა და ერთი ჯორი. თუმცა ფშაველები გამოეკიდნენ, მაგრამ ჩასაფრებულმა ქისტებმა აუტეხეს სროლა და ორი ფშაველი სასიკვდილოთ დასჭრეს და საქონელიც გაიტაცეს, წაართვეს ფულათ 120 მ., 2 ბერდანის თოფი და ტანისამოსი.

9 ღვინობისთვეს დილა-ადრიან, გათენებისას, დაეცა სოფელ ჭიდალეს მცხოვრებლებს ორასზე მეტი შეიარაღებული ქისტი, თოფების სროლით გაირეკეს ბეწინა მურვანიშვილის, გაჯურა აპრელაშვილის და ბეწიკურ იაგაშვილის 1700 მეტი სული ცხვარი და გადარეკეს გროზნის ოლქში.

აი ამიტომ არის, რომ მთელი ფშავ-ხევსურეთი დაჟინებით მოითხოვს მთავრობისაგან: ან თვითონ მთავრობამ დაიცვას ქისტებისაგან ან არა და ხალხს მისცეს საშუალება თავის-თავის დაცვისა. თორემ ასეთ პირობებში ყოფნა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდგან ქისტები დღითი დღე აფართოებენ თავის თარეშს. ხალხი ერთხმათ მოითხოვს—ან ქისტები მოგვაშორონ, მთავრობამ მიიღოს რაიმე საშუალება, რომ უზრუნველ ვყოთ ქისტების მხრით, ან არა და გაანთავისუფლონ მოლაშქრე ხალხი და აქვე მთებზედ დარაჯობით მოახდევინონ სამსახური, თორემ ჩვენ უამისოთ აბა როგორ მივცეთ მოლაშქრე ხალხი და სახლ-კარი ავაკლებინოთ ქისტებსაო, ჩვენ არც ვიყაჩაღებთ, არც უარს ვამბობთ სამსახურზედ, მხოლოთ ჩვენი დარდი ქისტები არიანო. და ნუ თუ მართლა ჩვენი მთავრობა იმდენად სუსტია, რომ არა აქვს საშუალება ეს მოთარეშე ქისტები ალაგმოს და მოსპოს ეს დაუსრულებელი ცარცვა-გლეჯა!

ის-არი.

კიდევ ჩვენი კოოპერატივი „მესხეთი".

(წერილი ახალციხიდან)

„გაზ. „საქართველოს" მკითხველებს ეხსომებათ (მგონია აგვისტოს 19-ის №-ში), რომ აგვისტოს 20 იან რიცხვებში „საქართველოში" მოთავსებული იყო წერილი ჩვენის კოოპერატივეს „მესხეთი"-ს უწესრიგობაზე, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამიც იყო, რომ სარევიზიო კომისიას 8 თვის განმავლობაში პირველი რევიზიაც კი არ მოუხდენიაო. ამ წერილმა, ცოტა არ იყოს სარევიზიო კომისია საგონებელს მისცა და ჩქარა შეუდგა რევიზიის საქმეს. ყველას ეგონა, რომ კომისია თავის რევიზიას კეთილად დაამთავრებდა და მახლობელ საზოგადო კრებასაც მოახსენებდა მის შედეგსა. მაგრამ მოლოდინი არ ასრულდა. 16 მდგომარე ოქტომბერს „მესხეთის" გამგეობამ მიიწვია საზოგადო კრება, სადაც 340 წევრის ნაცვლად 85 წ. გამოცხადდა. კრებას თავმჯდომარეობდა გ. აგულოვი.

სარევიზიო კომისიის წევრმა რ. ბეგიშვილმა უარი გამოაცხადა პირად თავის თანამდებობაზე დარჩენისა და ითხოვა ახალი წევრი აერჩიათ მის ნაცვლად. (მეორე სამი წევრი არ გამოცხადებულა კრებაზე და მესამე კი გარდაცვლილია). უარივე გამოაცხადა გამგეობის თავმჯდომარემ მღ. კანდელაკმა, ხაზინადარმა ავგისტინე იგინხანოვმა, მღ. გაბრიელ გოზალაშვილმა და ესენიც ახალი წევრების არჩევნებს თხოულობენ. შეიძლება დანარჩენ გამგეობის წევრებსაც ასეთივე განთავისუფლების სურვილი ჰქონოდათ და კიდეც ემზადებოდენ გამოეცხადებინათ, რომ აღარც იმათ სურთ თავიანთ თანამდებობაზე დარჩენა, მაგრამ ვეღარ გაბედეს ესა, რადგანაც იმათ უარზეც ხალხი ერთობ აღშფოთდა და თუ რისთვის ანებებდენ თავს, როდესაც გამგეობას არავითარი 10 თვის ანგარიში—შესავალ-გასავალი სავაჭროსი და არც სარევიზიო კომისიისაგან არავითარი მოხსენება არა ყოფილა წამოყენებული.

ბატონებო, ეს რა ამბავია, წაგებმოგებასა და რევიზიის შესახებ არავითარ ანგარიშებს არ გვატყობინებთ, ყველანი გაურბიხართ თქვენს თანამდებობასა და ახალ წევრთა არჩევნებს კი თხოულობთ, მაშ ვის უნდა მოვკითხოთ ანგარიშები.

თავმჯდომარე მაგიდაზე დაწყობილ ანგარიშის წიგნებს ხელს ადებს და იძახის, ეს წიგნები იმდენად არ არის მოწესრიგებული, რომ ვიცოდე ნამდვილი წაგებ მოგება სავაჭროსი, რადგან ბუჰგალტერი არა გვყავს, ჩვენც იმოდენი დრო არა გვაქვს, ყველა თავისი სამსახურის მოვალენი ვართ და ეს კი კერძო საქმეა, როცა ჩვენი სამსახურიდან მოვიცლით, მხოლოდ მაშინ უნდა მოვახმაროთ თავისუფალი დრო ამ საქმესა, ვერ მოვიცალეთ, რის გამო ბევრი ანგარიშების ჩაწერა ვერ მოვასწარით, საქმე გართულდა და ამის გამო მოუწესრიგებელი დავგრჩა წიგნები; ახალ წევრებს რომ აარჩევთ, მაშინაც შეიძლება მოწესრიგება, ოღონდ ახლა ჩვენ გაგვანთავისუფლეთ, მეტის დარჩენა აღარ შეგვიძლიან, მე უამისოდაც საკუთარი და სამსახურის საქმეებიც მრავალი მაქვსო. ასეთმა უცნაურმა განცხადებებმა დიდი აყალმაყალი გამოიწვია საზოგადო კრებაზე წევრთა შორის, ბევრი უსიამოვნო სიტყვებიც დაიხარჯა, რის გამეორებასა აქ აღარ შეუდგები, ხოლო მით მოვჭრი სიტყვას, რომ საზოგადო კრებამ ბევრი კამათის შემდეგ დაადგინა; 1) გამგე დარჩება თავის თანამდებობაზე იანვრამდის, როდესაც ანგარიშის წიგნები მოწესრიგდება.

2) ხაზინადარი ავ. იგინხანოვი განთავისუფლდება თავის თანამდებობიდან, როდესაც ყველა ანგარიშს სუფთად წარუდგენს საზოგადო კრებას.

3) რევიზიის კომისიის წევრიც დარჩეს თავის თანამდებობაზე.

4) მღ. გ. გოზალაშვილსაც უარი უთხრეს განთავისუფლებაზე, სანამდე ანგარიშის წიგნები არ მოწესრიგდებოდა, მაგრამ მან ხელმეორედ შემოიტანა საჩქაროდ თხოვნა, რომ იგი ეკლესიის შესაკეთებლად მიდის ფულის შესაკრებად და უეჭველად განთავისუფლებას თხოულობდა; რადგანაც მღ. გოზალაშვილს დიდი პასუხსაგები თანამდებობა არ ეჭირა, გაანთავისუფლეს და მის მაგიერად სხვა წევრი აირჩიეს. საზოგადო კრებამ აარჩია აგრეთვე ორი ზედმეტი წევრი გამგეობაში სამუშაოდ. ახალი არჩეული წევრნი: კ. ასათიანი, ლ. ხუციევი და ზია ბეგ-შარაბიჩიშვილი. გარდაცვალებული ივ. ლაზარიაშვილის მაგიერ რევიზიის კომისიის წევრად აირჩიეს გაბ. აგულოვი.

საზოგადო კრებამ გადასდო 200 მან. ერთდროულად, რათა მოიწვიონ გამოცდილი ბუხჰალტერი მოუწესრიგებელი ანგარიშის წიგნების მოსაწესრიგებლად.

კრება დასრულდა ომის შესწორებით.

შხამიანი ისარი.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მოწოდებას თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ს. წევის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო ნივთიერი მხრით მეტათ ცუდ პირობებშია: მოგვდის მარტო სამი გაზეთი: „თ. აზრი", „ს. ფურცელი" და „საქართველო", არ მოგვეპოვება წიგნები და სხვ... ეს მაშინ, როდესაც ამ სოფლიდგან გარეთ გასული ინტელიგენცია მრავალია, მაგრამ სამწუხაროდ სათანადო ყურადღებით არ ეპყრობიან ამ კულტურულ დაწესებულებას. სამკითხველოს გამგეობა მოაგონებს მათ, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს! შემოსწირონ წიგნები, ფული და გამოუწერონ ჟურნალ-გაზეთები... ეს კი შეძლებას მისცემს სამკითხველოს განაგრძოს თვისი არსებობა. ყოველგვარი შემოწირულება დიდი მადლობით მიიღება და თავის დროზე გაზეთებში იქნება გამოცხადებული. შემოწირულებანი შემდეგის მისამართით შეიძლება იქნეს გამოგზავნილი: Ст. Дзеруды, Петру Ніорадзе для Цевской читальни.

დავშთებით პატივისცემით **სოფ. წევის სამკითხველოს გამგეობა.**[1]

—

P. S. გამგეობა სთხოვს აგრეთვე სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

---

[1] ამასთანავე გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ (დ. ყვირილაში), რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება გაუწიეს ფულით სამკითხველოს. მადლობის ღირსია აგრეთვე ბ. სევ. გაჩეჩილაძე წიგნების შემოწირვისათვის და ნ. კ. გაჩეჩილაძე, რომელმაც ხუთი მანეთი შემოსწირა სამკითხველოს. ამასთანავე მადლობის ღირსია პ. ნიორაძე და ვ. გაჩეჩილაძე, რომლებიც ირჯებიან და მათ სახელზე გამოწერილ გაზეთებს ბეჯითად გვაწვდიან.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 6 „	24 „	საღ.

გამოიცა და იყიდება

კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".

(თ.—225—25)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძაძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილი, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „[illegible]" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები. რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.